ბოლო კეთილია

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 30 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “პახტაკორი” (ტაშკენტი) - 3:0 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი (მაჩაიძე), ასათიანი (ძოძუაშვილი), მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

“პახტაკორი”: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ინოიატოვი, ნაუმენკო, პეტუხოვი, რახმატულაევი, ისაკოვი, მელქუმოვი (ვარიუხინი), ბექთაშევი, იბრაგიმოვი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები - 2:2.

სულ რამდენიმე ტურის წინ “პახტაკორი” იმ აუტსაიდერთა შორის ირიცხებოდა, რომლებიც საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივების წინაშე იდგნენ. მაგრამ საკმარისი გახდა რამდენიმე წარმატება (მათ რიცხვს უნდა მიეკუთვნოს გამარჯვება ქუთაისელებთან და ქულა თბილისის “დინამოსთან”) და “პახტაკორი” უკვე მოწინავეთა შორის აღმოჩნდა. ამდენად, 30 მაისის მატჩი წარმოადგენდა არა რიგით კალენდარულ შეხვედრას, არამედ ლიდერთა თამაშს: როგორც გნებავთ განსაჯეთ და ტაშკენტის გუნდი ამ დღისთვის III ადგილზე იყო.

მაგრამ ლიდერთა ეს მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით თუ ტაქტიკური შინაარსით მთლად ვერ შეესაბამებოდა თავის ამ მაღალ რანგს, თუმცა თბილისელებმა ჩაიწერეს ის 2 ქულა, რომლებიც ესოდენ საჭირო იყო, თანაც, კიდევ ერთი ჩასათვლელი ქულა მიიღეს დიდი ანგარიშით მოპოვებული გამარჯვების პრიზისთვის ბრძოლაში. როგორც იტყვიან, ბოლო კეთილია, მაგრამ გუნდის თამაშით პირველ ტაიმში კმაყოფილი არავინ დარჩენილა.

რატომ მოხდა ასე: დიდი ანგარიშით გამარჯვება და უკმაყოფილო ტრიბუნები?

ახლა, თანამედროვე საერთაშორისო ფეხბურთში, ყველგან ანათემას გადასცეს ე.წ. პერსონალური დაცვა. ყველა მეტად თუ ნაკლებად ავტორიტეტულ მწვრთნელს საკუთარი პრესტიჟის შელახვად მიაჩნია ლაპარაკი პერსონალური მეურვეობით თამაშზე. სადღეისო საფეხბურთო ნორმებით ეს რეტროგრადობად ითვლება, მაგრამ “პახტაკორის” მწვრთნელს მ. იაკუშინს ასეთი ამბები ნაკლებად აწუხებს და თითოეულ თამაშს კონკრეტული თვალსაზრისით უდგება. ამიტომ იყო, რომ მან თავის ფეხბურთელებს ულტიმატუმის სახით მისცა დავალება: მხოლოდ პერსონალური თამაში, მხოლოდ პრესინგი და ისიც მთელ მინდორზე - დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც კი. ყველგან, მინდვრის ყოველ ნაწილში, სადაც კი რომელიმე დინამოელი იყო, მის გვერდით უნდა ყოფილიო მისი მეურვე პახტაკორელიც. არავითარი იმპროვიზაცია.

შედეგი? შედეგი ის გახლავთ, რომ “პახტაკორმა” პირველი 45 წუთის მანძილზე თითქმის მთლიანად მოუშალა თამაში თბილისელებს, განსაკუთრებით - თავდასხმას. რასაკვირველია, ეს იყო მხოლოდ წინააღმდეგობა, მხოლოდ ხელის შეშლა, მაგრამ სტუმრებს სხვა გეგმა არცა ჰქონიათ. მათ მხოლოდ ის უნდოდათ,

რომ დინამოელებს არ გაეშალათ კომბინაციური შეტევა და საჯარიმო მოედნიდან დიდი დაშორებით დაბანდებულიყვნენ.

ასეც მოხდა. ტაიმის დამთავრებამდე, უკეთ რომ ვთქვათ, ანგარიშის გახსნამდე ლიუბარცევს თითქმის არა ჰქონია საგანგაშო წუთები. ყველაფერი მისი კარიდან "საბინოკლე" მანძილის დაცილებით ხდებოდა.

გარდატეხა თამაშში შეიტანა პენალტმა, რომელიც 37-ე წუთზე დანიშნა მსაჯმა საჯარიმო მოედანზე მეტრეველის წაქცევისთვის. ილიადიმ ეფექტურად გაიტანა 11-მეტრიანი და თბილისელებსაც მაშინვე გაეხსნათ ხელ-ფეხი. დარჩენილ დროში იმავე ილიადიმ ძელს მოახვედრა ბურთი და ნოდიამ სამიოდე მეტრიდან ააცილა დარტყმა მიზანს.

მეორე ტაიმში "დინამო" უკვე ნამდვილ "დინამოს" ჰგავდა. რამდენიმე სწრაფი მანევრი ადგილების ცვლით, ნახევარდაცვისა და დაცვის მოთამაშეთა აქტიური მონაწილეობა შეტევაში საკმარისი გახდა საიმისოდ, რომ "პახტაკორის" პრესინგი მოწინააღმდეგე მოთამაშეთა ზურგს უკან პრიმიტიულ დევნას დამგვანებოდა. თბილისელებმა გამართეს თამაში.

53-ე წუთზე გავაშელმა მარცხენა ფლანგიდან მოაწოდა ბურთი. იგი მიიღო წინა პოზიციაში გასულმა პეტრიაშვილმა და მეორე გოლი გაიტანა ტაშკენტელთა კარში.

ასეთივე შეტევა თავდამსხმელთა და ნახევარმცველთა ერთობლივი მონაწილეობით მასპინძლებმა 69-ე წუთზეც განახორციელეს და კუტივაძემ კიდევ ერთი ბურთი შეაგდო "პახტაკორის" კარში.

ბ. ქორქია.

"ლელო", 1 ივნისი, 1969 წ.